<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

"არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისშეტანის შესახებ

მუხლი 1. „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 1998 წელი, მუხ. 42) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. კანონის მე-2 მუხლის:

ა) „ი1" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი[1]) საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივები –საქართველოს ფასიანი ქაღქალდების ეროვნული კომისიის (შემდეგში - „კომისია") წესით განსაზღვრული, საპენსიო დანაგროვთა დასაფარავად (საინვესტიციოდ) დასაშვები აქტივები;"

2. კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საპენსიო დანაგროვის შესაბამის აქტივებს ადგენს კომისია."

3. კანონის მე-29 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი კომისიას ანგარიშებს წარუდგენენ კომისიის მიერ დადგენილი წესით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*